



საქართველო მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო  
GEORGIA MARNEULI MUNICIPALITY REPRESENTATIVE  
BODY



მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომის

ო კ მ ი N12

ქ. მარნეული

11.07.2017 წელი

სხდომას ესწრებოდნენ:

ბიუროს წევრები: - ნაბი აბდულაევი, ვალერი მეტრეველი, ვანო ბურნაძე, ნიკოლოზ გოგოჭური, კოტე ბოჭოიძე, რიჩარდ გიგანი, აბიდ ოსმანოვი, ირაკლი ბურნაძე, რაფიკ მუსაევი, ვალი ისმაილოვი, რამიზ გულმამედოვი.

სხდომას არ ესწრებოდა: ამირან გიორგაძე, გიორგი შუკაკიძე, გივი ქველაძე, ქამილ ალიევი.

სხდომას ესწრებოდა: მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებელი მერაბ თოფჩიშვილი, გამგებლის პირველი მოადგილე ზაურ ტაბატაძე, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ვუგარ მამედოვი, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი ნინო ბერიძე.

განსახილველი საკითხების დღის წესრიგი:

1. მარნეულის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 10 იანვრის N1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.
2. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 6 ივლისის N03/8137 წერილის განხილვის შესახებ.
3. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 6 ივლისის N03/8138 წერილის განხილვის შესახებ.
4. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 7 ივლისის N03/8178 წერილის განხილვის შესახებ.
5. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 7 ივლისის N03/8179 წერილის განხილვის შესახებ.
6. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 4 ივლისის N03/7978 წერილის განხილვის შესახებ.

## განხილული საკითხები და მიღებული გადაწყვეტილებები:

1. დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ, გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსთან ვუგარ მამედოვთან ერთად, ბიუროს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 10 იანვრის N1 დადგენილებაში შესატანი ცვლილების პროექტი, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

2. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ ბიუროს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 6 ივლისის N03/8137 წერილით წარმოდგენილი დოკუმენტაცია, რომლის მიხედვით ითხოვენ დამტკიცდეს შ.პ.ს. „მარნეულის სოფწყალი“-ს 2017 წლის კორექტირებული ბიუჯეტი და სამტატო განრიგი, ვინაიდან იზრდება სუბსიდია 32,8 ათასი ლარით, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

3. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მესამე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ ბიუროს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 6 ივლისის N03/8138 წერილით შემოსული დოკუმენტაცია, რომლითაც ითხოვენ დამტკიცდეს შ.პ.ს. „მარნეულის მუნიციპალიტეტის ავტოპარკი“-ს 2017 წლის კორექტირებული ხარჯთაღრიცხვა სუბსიდიის ფარგლებში – ემატება ერთი დარაჯის სამტატო ერთეული, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოცემული 13312.00 კვ.მ. ფართობის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობების ნაწილის შეკეთებისა და ავტოსამრეცხაოს მოსაწყობად, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

4. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეოთხე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ ბიუროს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 7 ივლისის N03/8178 წერილი, რომლის მიხედვით მტკიცდება ა.ა.ი.პ. „სუფთა მარნეული“-ს 2017 წლის კორექტირებული ხარჯთაღრიცხვა და სამტატო განრიგი. იმის გათვალისწინებით, რომ გაიზარდა სამუშაოების მოცულობა და დაემატა დაშტაფა-კირიხლო, ახკულა-წერაქვი და მაგისტრალის ბაიდარი-კესალოს და საბირკენდი-აზიზკენტის მონაკვეთი, საჭირო გახდა სუბსიდიის 54 ათასი ლარით გაზრდა და შტატების დამატება: სპეცავტომანქანების მძღლის -2 და მტვირთავი მუშის - 6 სამტატო ერთეული, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

5. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეხუთე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ ბიუროს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 7 ივლისის N03/8179 წერილი, რომლის მიხედვით მტკიცდება ა.ა.ი.პ. „სპორტული სკოლა“-ს 2017 წლის კორექტირებული ხარჯთაღრიცხვა – ხდება შიდა ცვლილება: აკლდება 2160 ლარი თანამდებობრივ სარგოს, 10 ათასი ლარი პრემიის ფონდს, 2 340 ლარი სხვა ხარჯების მუხლს და აღნიშნული გამონთავისუფლებული თანხებიდან 4 000 ლარი ემატება მივლინების, 4 500 ლარი ოფისის ხარჯების, 6 000 ლარი რბილი ინვენტარის და უნიფორმების ხარჯების მუხლს. ასევე ითხოვენ სუბსიდიის გაზრდას 20 000 ლარით საბავშვო მიუდოსა ტატამის კომპლექტისა და წვრთნის პროცესისათვის აუცილებელი ინვენტარის შესამენად, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

6. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეექვსე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ ბიუროს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 4 ივლისის N03/7978 წერილით შემოსული დოკუმენტაცია, რომლის მიხედვით მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებელი ითხოვს თანხმობას ქუთლიარის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე 21 768 კვ.მ არასაოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან 15 040 კვ.მ. არასაოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი პირდაპირი განკარგვით, უსასყიდლო უზუფრუქტიის ფორმით უვადო სარგებლობაში გადაეცეს საქართველოს საპატრიარქოს მარნეულისა და ჰუჯაბის ეპარქიას, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

სხდომის დამთავრებამდე მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებელმა მერაბ თოფჩიშვილმა ითხოვა მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველ საკითხთა ნუსხას დაემატოს შემდეგი საკითხები:

1. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 11 ივლისის N03/8258 წერილის განხილვის შესახებ.

2. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 11 ივლისის N03/8259 წერილის განხილვის შესახებ.

3. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 11 ივლისის N03/8257 წერილის განხილვის შესახებ.

4. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 20 ივნისის N03/7158 წერილის განხილვის შესახებ.

5. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 11 ივლისის N03/8255 წერილის განხილვის შესახებ.

6. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 11 ივლისის N03/8256 წერილის განხილვის შესახებ.

7. სოფელ თამარისში მცხოვრები მოსახლეობის კოლექტიური განცხადების განხილვის შესახებ.

აღნიშნულ დამატებას დაეთანხმნენ საკრებულოს წევრები და მიიღეს გადაწყვეტილება დამატებითი საკითხები დაემატოს საკრებულოს დღის წესრიგის ნუსხას.

მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2017 წლის მეთორმეტე სხდომა გამოაცხადა დახურულად.

მარნეულის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე:

ნაბი აბდულაევი